პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთწლედი — ვადაჭდეს!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

14 ნოემბერი ხუთშაბათი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 266 (14262)

სოფლის მშრომელთა დიდი საზრუნავი

ჩვენმა სამშობლომ ზეიმით აღნიშნა ოქტომბრის დიადი დღესასწაული და ახლა ემზადება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის შესახვედრად. კვლავ ახალი ძალითა და ენერგიით შრომობენ ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების სახელოვანი მუშაკები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებები შთაგონებენ მათ აიღონ ახალი ზღუდეები ქვეყნის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა ფრონტზე.

სკკპ XXIII ყრილობისა და შემდგომი პლენუმების დადგენილებათა საფუძველზე — პარტიამ დიდი ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობა გასწია სოფლად, განახორციელა მთელი რიგი სოციალ-ეკონომიური ღონისძიებები. ამის შედეგად განუხრელად გაიზარდა სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი. წელს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა სამრეცვლე კულტურების კარგი მოსავალი მოიყვანეს და გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის გეგმა. ვადამდე შესრულდა ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის დამზადების წლიური გეგმები.

ამ დიდ შემოქმედებითს შრომაში ჩვენი დიადი სამშობლოს — საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის საერთო აღფაფლობაში სახელოვანი წვლილი მიუძღვით საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებს. მიუხედავად ამინდის ცუდი პირობებისა, ჩვენმა რესპუბლიკამ წარმატებით შეასრულა მარცვლეულის, ჩაის, ყურძნისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წლიური გეგმები. გუშინ გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოს სსრ მეხილეებმა წარმატებას მიაღწიეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. სახელმწიფოს მიჰყიდეს 124.876 ტონა კურკოვანი და თესლოვანი ხილი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 118.000 ტონისა.

ყველა ეს წარმატება პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის, კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და სპეციალისტების ნაყოფიერი შრომის, სოფლის მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ფართოდ დანერგვის შედეგია.

სოფლის მეურნეობის წარმატებები უდავო და ცხადია, მაგრამ, — როგორც ეს ხაზგასმით აღინიშნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე, — ახლა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური, საერთოპარტიული და საერთოსახელმწიფო ამოცანა ის არის, რომ რაც შეიძლება მოკლე ვადაში ბეგრად გადავჭარბოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების თანამედროვე დონეს. სოფელი სულ უკეთ უნდა აღიჭურვოს თანამედროვე ტექნიკით, გადიდდეს საბუქების მოწოდება, კიდევ მეტი გაკეთდეს მიეცეს მიწების მელიორაციას, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის ნაყოფიერების გადიდებას, კადრების გონივრულად შერჩევას.

ამ ამოცანათა შესასრულებლად დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ პარტიის რაიკომებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულ ორგანიზაციებს, ხოფლად მომუშავე ყველა კომუნისტს. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ათასობით კომუნისტი ირიცხება. ეს დიდი ძალაა, რომელსაც შეუძლია გაუძღვეს მასებს ახალ-ახალი წარმატებებისათვის ბრძოლაში.

სამეურნეო წელი მიიწურა. ახლა ყველგან აჯამებენ სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგებს, ყოველ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში მკაფიოდ ავლინებენ რეზერვებს, რომლებიც რაც შეიძლება სწრაფად უნდა ჩავაყენოთ საქმის სამსახურში. უნდა გავარკვიოთ, მაგალითად, რატომ მოხდა, რომ ერთ კოლმეურნეობაში ან ბრიგადაში ჰექტარი სახნავი მიწა უფრო უხვი აღმოჩნდა, ვიდრე მეორეში, როცა ორივეს ერთნაირი მიწა და პირობები აქვს. საქმიანად უნდა ვიმსჯელოთ იმაზე, თუ როგორ გავუტოლდეთ მოწინავე მეზობელს, როგორ მოვაწყოთ უკეთ შრომა ბრიგადაში, ფერმაში, რა სტიმულები გამოვიყენოთ შრომელთა აქტივობის ახალი აღმავლობისათვის.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა საჭიროდ მიიჩნია სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების მყარი გეგმების პრინციპი შეენარჩუნოთ მომავალ ხუთწლეულში, აგრეთვე მარცვლის ზეგეგმითი შესყიდვის სტიმულირების მოქმედი წესი გავავრცელოთ სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე. ეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მტკიცე საფუძველს უქმნის იმისათვის რომ სწორად, დასაბუთებულად დაგეგმონ წარმოების განვითარება, აამაღლონ მიწათმოქმედების კულტურა, გაზარდონ მეურნეობის შემოსავალი.

სოფლის მეურნეობაში შემდგომი წარმატებების ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი და საშუალო რგოლის კადრების კვალიფიკაციის ამაღლება, მასობრივი პროფესიების ფართო სწავლება, გამოცდილი, ნიჭიერი და საქმიანი ოვსებების მქონე მუშაკების დაწინაურება. ამ საკითხებით პირველ რიგში უნდა დაინტერესდენ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები.

მომავალი მოსავლის ბედზე ახლავე შემოდგომაზე უნდა ვიზრუნოთ. პირველ რიგში ხელი უნდა მოვკიდოთ მაღალხარისხოვანი თესლის მომზადებას, სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შეკეთებას. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ მოსავლიანობის გადიდება დიდად არის დამოკიდებული სოფლის მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, მოწინავე გამოცდილების, შრომის პროგრესული მეთოდების ფართოდ დანერგვაზე.

დიდი ამოცანები, რომლებიც პარტიამ დასახა სოფლის მეურნეობის დარგში, უნდა გადაწყდეს მუშათა და კოლმეურნეთა, მეცნიერთა და სპეციალისტთა ერთობლივი მეცადინეობით. ახლა მთავარია პრაქტიკული, ნაყოფიერი შრომა, ხაყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების უფრო ფართოდ გაშლა იმისათვის, რომ ვადამდე შესრულდეს ხუთწლედის ყველა დავალება, რომ უფრო უხვი და ხვავიანი იყოს 1969 წლის მოსავალი.

გულითადი მადლობა

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითად მადლობას ვუძღვნით საბჭოთა კავშირის ყველა პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციას, საწარმოთა და დაწესებულებათა კოლექტივებს, ცალკეულ მოქალაქეებს, აგრეთვე მოძმე მარქსისტულ-ლენინური პარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, სოციალისტური და სხვა მეგობრული ქვეყნების მთავრობებს, სახელმწიფო მოღვაწეებს, საზღვარგარეთის სახელმწიფოთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ცალკეულ მოქალაქეებს, რომლებმაც მოგვილოცეს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი გამარჯვება — უპილოტო კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-2“-ის და სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის ამხ. გ. ტ. ბერეგოვოის მიერ პილოტირებული ხომალდის „სოიუზ-3“-ის ფრენის წარმატებით დამთავრება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

გაზეთის რედაქციას

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გადავუხადო საწარმოთა, ორგანიზაციათა, ხარის ნაწილების კოლექტივებს, ყველა საბჭოთა ამხანაგსა და საზღვარგარეთელ მეგობარს, რომლებმაც მომილოცეს კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-3“-ით ფრენის წარმატებით დამთავრება, ლენინის ორდენითა და „ოქროს ვარსკვლავის“ მეორე medlit დაჯილდოება და „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის“ წოდების მონიჭება.

გ. ტ. ბერეგოვოი.

ორასზე მეტი კომკავშირელი მუშაობს ქუთაისის ვ. ი. ლენინის სახელობის მაუდის ფაბრიკაში, რომელიც ქალაქის ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა. მიმდინარე წელს სოციალისტური შეჯიბრების შედეგებით აქ სახელი გაითქვა სართავსაჩეჩი საამქროს კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადამ, რომელსაც კომკავშირელი ნელი ბესელია ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადის წევრები ბევრი სიახლის ინიციატორები არიან, მაგალითს აძლევენ ფაბრიკის ახალგაზრდობას საწარმოოო დავალებების შესრულებასა და მომეჯნავე პროფესიების ათვისებაში.

• • •

სურათზე: მოწინავე ბრიგადის წევრი მრთველი ლიანა ნიწილაშვილი, რომელიც 120 პროცენტით ასრულებს დღიურ დავალებებს.

ფოტო ა. ჩარკვიანისა.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „ბჟირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ „ბჟირი დედის“ საპატიო წოდება და გადაეცეთ „ბჟირი დედის“ ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც ობეს და აღზარდეს ათი და მეტი შვილი:

1. კოზონიშვილს თამარ ბესარიონის ასულს — კოლმეურნეს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ზნაურის რაიონი.

2. მურადოვას სინა გაჯი ულის — საბჭოთა მეურნეობის მუშას, დმანისის რაიონი.

3. ბეიშვილს თამარ ბესარიონის ასულს — ქვიტირის საბჭოთა მეურნეობის მუშას, წყალტუბოს რაიონი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი
ბ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი.
1968 წლის 11 ნოემბერი.

ა უ მ ჯ ო ბ ე ს ე ბ ე ნ ხ ა რ ი ს ხ ს

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის ტრიკოტაჟის ფაბრიკის მარკით დამზადებულ პროდუქციას კარგად იცნობენ მთელ ჩვენს ქვეყანაში. მათ შორის განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობს ქალის დაჩითული კაბები, რომლებიც ტრიკოტაჟის ქსოვილისაგან იქსოვება.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, საწარმოში დიდი ყურადღება ექცევა ახალი ტექნიკის დანერგვას. დაიდგა მაქმანის ახალი საქსოვი მანქანები, სამღებრო-საგამოყვანო საამქროში მოძველებული სამღებრო როფების ნაცვლად დაიდგა ახალი გაუმჯობესებული ტიპის მანქანები, რამაც საგრძნობლად გაუმჯობესა პროდუქციის ხარისხი. საწარმოში დამონტაჟდა და ამუშავდა ახალი საჩითავი მანქანა, რომელიც ქსოვილს ერთდროულად სხვადასხვა ფერით ჩითავს.

ტექნიკური სიახლის დანერგვამ შესაძლებელი გახადა პროდუქციის ხარისხის შემდგომი ამაღლება, რამაც კიდევ უფრო გაზარდა მოთხოვნილება ფაბრიკის მიერ დამზადებულ ნაწარმზე, რომელიც თანამედროვე გაზრდილ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს როგორც გარეგანი შეხედულებით, ისე თავისი ორიგინალური კონსტრუქციით. ახალი მოდელების შექმნასა და დამუშავებაში თავიანთი წვლილი შეაქეთ მხატვარ-მოდელიორებს სვეტლანა ჭოლაძეს, ლია ბარნაბიშვილს, მერი ქსოვრელს და ახალგაზრდა ინჟინერ-დესინატორს ნანული დიაკონიძეს.

საწარმოს ცალკეულ საამქროებსა და უბნებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში კარგ მაჩვენებლებს მიაღწია საქსოვმა საამქრომ (უფროსი მ. მიქაუტაძე) და ამავე საამქროს ბრიგადამ, რომელსაც ა. შავლაძე ხელმძღვანელობს.

ფაბრიკის კოლექტივმა ათი თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა და გეგმის გადამეტებით 4.700 ცალი ტრიკოტაჟის ნაწარმი მიაწოდა მომხმარებელს.

თ. კინწურაშვილი.

• უკრაინა — საქართველო •

ჩ ვ ე ნ ი ძ მ ო ბ ი ს ხ ი დ ი

მახარაძისა და გენიჩესკის რაიონების მეგობრობის 30 წლისთავისათვის

◇ ◇

მცდაათი წლის წინათ, 1938 წლის აპრილში, მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებმა წერილით „როგორ ვცხოვრობთ ჩვენ“ მიმართეს მოძმე უკრაინის კოლმეურნეებს. წერილში, რომელიც გამოქვეყნდა „პრავდაში“ და საქართველოსა და უკრაინის რესპუბლიკურ გაზეთებში, მშრომელი კოლმეურნეები მოუთხრობდნენ თავიანთ საკოლმეურნეო შრომაზე, იმაზე, თუ რა ბედნიერი და შეძლებული ცხოვრება აქვთ. წერილი მთავრდებოდა უკრაინელი კოლმეურნეებისადმი თხოვნით — მოეთხროთ თავიანთი ცხოვრების შესახებ და თავიანთი წარმომადგენლები გაეგზავნათ საქართველოში.

ამ წერილით დაიწყო უკრაინელი და ქართველი კოლმეურნეების მეგობრობა. ამ ორი მოძმე ხალხის მეგობრობას კი ღრმა ფესვები აქვს საუკუნეებში, როცა უკრაინისა და საქართველოს გამოჩენილი შვილები გულწრფელი მეგობრობის მაგალითებს გვიჩვენებდნენ. საამისოდ შეგვიძლია დავასახელოთ დავით გურამიშვილი და ლესია უკრაინკა, ტარას შევჩენკო და აკაკი წერეთელი, აგრეთვე ბევრი სხვა.

ქართველ კოლმეურნეთა მოწოდებას სიხარულით გამოეხმაურნენ ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის სოფელ როვნოს კოლმეურნეობის მშრომელები, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულიყვნენ სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობასთან. მშრომელებმა საერთო კრებაზე განიხილეს საპასუხო წერილი და ერთხმად მიიღეს მეგობრების გამოწვევა.

და აი 1938 წლის ნოემბერში, უფრო ზუსტად — 14 ნოემბერს, მახარაძეში უკრაინელთა პირველი დელეგაცია ჩავიდა.

ჩვენს საერთო სიხარულს დღეს კიდევ უფრო აძლიერებს ის გარემოება, რომ სიმბოლური აღმოჩნდა უკრაინელი მეგობრების პირველი დელეგაციისა და ახლანდელი დელეგაციის ჩამოსვლის თარიღების ასეთი დამთხვევა; დღეს, 14 ნოემბერს, ჩვენ — ზუსტად 30 წლის შემდეგ კვლავ ერთად შეკრებილნი აღვნიშნავთ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს.

მახარაძის რაიონში ჩამოსული პირველი დელეგაცია სოფელ შრომას ეწვია. სტუმრებმა დაათვალიერეს კოლმეურნეობა, სოფელი. მათთან შეხვედრა ხალხთა ლენინური მეგობრობის ნათელ დემონსტრაციად იქცა. კოლმეურნეებმა გააფორმეს სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება.

ასე აინთო უკრაინელი და ქართველი კოლმეურნეების ძმური შეჯიბრების პირველი ჩირაღდანი; მათ, როგორც შოთა რუსთაველს აქვს ნათქვამი, „გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“.

მათ მიერ დაწყებულმა მეგობრობამ შემდგომ წლებში მრავალჯერ გაიარა წრთობა უმძიმესი გამოცდების დროს. ამ შესანიშნავი მეგობრობის ყველაზე მძიმე გამოცდა დიდი სამამულო ომის მრისხანე წლები იყო, და ეს უმკაცრესი გამოცდა ღირსეულად იქნა განვლილი.

ომის მძიმე წლებში, ძნელბედობის ჟამს, არნახული განსაცდელის პერიოდში უკრაინელთა და ქართველთა, ისევე როგორც ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხის მეგობრობა და ურთიერთგაგაშირი კიდევ უფრო გაძლიერდა და განმტკიცდა.

როცა გენიჩესკის რაიონის ტერიტორია დროებით ოკუპირებული აღმოჩნდა, არაერთმა გენიჩესკელმა, მათ შორის მრავალმა დაჭრილმა საბჭოთა მეომარმა, თავშესაფარი სოფელ შრომაში, მათს სტუმართმოყვარე ქართველ მასპინძელთა ჭერქვეშ, პოვა. სხვებთან მხარდამხარ მრავალი მახარაძელიც თავგანწირვით იბრძოდა უკრაინის, ხერსონის ოლქის, გენიჩესკელთა მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის. სოფელ შრომის მცხოვრებლებმა — კოლმეურნეებმა, ინტელიგენციამ მილიონ მანეთზე მეტი შეიტანეს სატანკო კოლონის ასაგებად. თან საბჭოთა სარდლობას სთხოვეს, ეს ტანკები მომძე უკრაინის განთავისუფლებლად ბრძოლის ველზე გაგზავნათ. არაერთი გენიჩესკელი იბრძოდა კავკასიის დასაცავად. გენიჩესკის რაიონის როვნოს ახლოს არის ძმათა სასაფლაო, სადაც ქართველი მეომრები განისვენებენ. ისინი თავრიზის მიწის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში გმირულად დაეცნენ.

ოკუპანტთა განდევნის შემდეგ, გენიჩესკის რაიონის განთავისუფლებისთანავე, მახარაძელებმა ძმური დახმარება გაუწიეს გენიჩესკელებს სურსათით, ტანსაცმლით, თავიანთი წვლილი შეიტანეს დანგრეული სოფლების აღდგენის, კოლექტიური მეურნეობის აღორძინების საქმეში.

მომდევნო წლებშიც ჩვენ მრავალჯერ გაგვიწევია დახმარება ხელი ერთმანეთისათვის. უკრაინელმა მეგობრებმა შესანიშნავი წვლილი შეიტანეს მახარაძის რაიონის კოლმეურნეობების საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობისა და განვითარების საქმეში ბრუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისა და მდიდარი შრომითი გამოცდილების დანერგვის გზით. მახარაძელები გენიჩესკელებს დაეხმარნენ ხიხილის ბაღების, ვენახების გაშენებაში, მარადმწვანე მცენარეთა პარკებისა და ხეივნების შექმნაში, რაიონული ცენტრისა და სოფლების გამწვანებაში.

ჩვენი მეგობრული კავშირი განუხრელად მტკიცდებოდა და ფართოვდებოდა, სულ უფრო მრავალმხრივი და მრავალფეროვანი ხდებოდა. გენიჩესკელთა და მახარაძელთა მეგობრობის ისტორიაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პერიოდს 1954 წელი წარმოადგენს. ამ წელს, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა ზეიმობდა რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს, ორი კოლმეურნეობის შეჯიბრება ორი რაიონის ფართო ურთიერთობად და შეჯიბრებად გადაიზარდა. მას შემდეგ, ჩვენ ყოველწლიურად ვეზავნით ერთმანეთთან რაიონულ დელეგაციებს, ვამოწმებთ წინა წელს გაწეული შრომის შედეგებს, ვუზიარებთ ერთმანეთს გამოცდილებას, ვდებთ სოციალისტური შეჯიბრების ახალ ხელშეკრულებას.

ამჟამად ორივე რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებთან ერთად შეჯიბრებაში ჩაბმული არიან საბჭოთა მეურნეობები, საწარმოები, ორგანიზაციები, მიმოწერა აქვთ სკოლებს, ერთმანეთს ხშირად სტუმრობენ და თავიანთ ხელოვნებას უჩვენებენ მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები.

ჩვენ არც ერთი წუთით არ ვივიწყებთ ერთმანეთს, სალანადოდ ვაფასებთ ჩვენს გულწრფელ მეგობრობასა და ძმურ ურთიერთობას. ამის საილუსტრაციოდ მრავალი ფაქტის დასახელება შეიძლება, ამაზე მეტყველებს, მაგალითად, ის ამბავი, რომ ორივე რაიონში მრავალ ადგილსა და ობიექტს ჩვენი მეგობრობისა და შეჯიბრების აღსანიშნავად შესაბამისი სახელწოდება აქვს.

ეს არის კოლმეურნეობა „საქართველო“ გენიჩესკის რაიონში, მახარაძის სახელობის ქუჩა და კინოთეატრი ქ. გენიჩესკში; კოლმეურნეობები „უკრაინა“ და „გენიჩესკი“ მახარაძის რაიონში, გენიჩესკის ქუჩა ქ. მახარაძეში; ეს არის — მეგობრობის მუზეუმი და ოთახები, ბაღები და ხეივნები, ქანდაკებები, სტენდები, ფოტოალბომები, გარდამავალი დროშები, სამახსოვრო საჩუქრები ორივე რაიონში.

30 წლის წინათ ორი სოფლის კოლმეურნეთა შორის ჩასახული მეგობრობა ეშმაკრიტად გადაიქცა ჩვენი შესანიშნავი საბჭოთა სინამდვილის ერთ თვალსაჩინო გამოვლინებად, საკმაოდ დიდი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მნიშვნელობა მიიღო.

შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მიხეილ ორაგველიძემ, მახარაძელთა დელეგაციის უკრაინაში ყოფნის დღეებში, საკოლმეურნეო წარმოების გამოჩენილი ორგანიზატორის კლიმენკოს საფლავზე დადო ფიალა წარწერით — „უკრაინელი და ქართული კოლმეურნეობების მეგობრობის ინიციატორს თეოდორე ნიკიტასძე კლიმენკოს“. ამით კიდევ ერთხელ იქნა ხაზგასმული, რომ ამ საზეიმო დღეებში ჩვენ ვალდებული ვართ მადლობის გრანმობით მოვიგონოთ ყველა, ვინც საფუძველი ჩაუყარა ამ დიდებულ და სამარადისო მეგობრობას.

მეგობრობა ამაგრებს ჩვენს ძალებს, შესანიშნავ ნაყოფს იძლევა, გვეხმარება ცხოვრებასა და შრომაში, ახალი მიღწევების მოპოვებაში, წინსვლაში. ეს არის — საბჭოთა ეპოქაში წარმოშობილი, ახალი ფორმისა და ახალი შინაარსის მქონე მეგობრობა.

შეჯიბრებისა და მეგობრობის ურთიერთ შერწყმამ კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა თვით შეჯიბრების ქმედითობასა და მაღალნაყოფიერებაზე, გაამდიდრა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის პრაქტიკა. ჩვენი პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევენ სოციალისტური შეჯიბრებისა და ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობის ლენინური პრინციპების განხორციელების საქმეს.

ჩვენ 30 წლისთავის ზეიმს ღირსეული შრომითი საჩუქრები მოვუმზადეთ. მახარაძის რაიონი მეჩაიეობის ყველაზე მსხვილი რაიონია რესპუბლიკაში და მთელ საბჭოთა კავშირშიც. იგი ყოველწლიურად აძლევს სამშობლოს მთელი სამამულო წარმოების ჩაის მეხუთედზე მეტს.

ასევე სასახელოდ შრომობენ გენიჩესკელები. მათ ახალი ხუთწლედის ბოლო ორ წელიწადს სახელმწიფოს მიჰყიდეს 134 ათასი ტონა მარცვლეული, მეცხოველეებმაც გადამეტებით და ვადაზე ადრე გაანაღდეს მიმდინარე წლის დავალება.

ამ საზეიმო თარიღს, უკრაინელი და ქართველი კოლმეურნეების მეგობრობას მიუძღვნა თავისი ახალი დადგმა მახარაძის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა. ახალი პროგრამები და ნომრები მოამზადეს მეგობრობის 30 წლისთავის აღსანიშნავად რაიონული კულტურის სახლის, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა ორგანიზაციების მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებმა. ასევე ენენიჩესკის რაიონშიც. იქ მთელი გულით უმღერიან მეგობრობას, ძმობას.

ჩვენ გვახარებს ერთმანეთის შრომითი გამარჯვებები, როგორც საკუთარი მიღწევები, რადგანაც მიგვაჩნია, რომ საერთო მიზნები, მისწრაფებები, ამოცანები გვაქვს. ძმურ შეჯიბრებაში ჩაბმულნი, მხარდამხარ მივდიოართ, შევხარით და ვამაყობთ ერთმანეთის წარმატებით. ასეთია ჭეშმარიტი, გულწრფელი, ძმური მეგობრობა, ასეთია სოციალისტური შეჯიბრების მიზანი და წმინდა ნაწილი.

ოქტომბერში მახარაძელების გენიჩესკის რაიონში ყოფნის დროს, დიდი ატაცებით ვსუბდებოდით, თუ რა განუხრელად იზრდება, მაღლდება და მრავლდება ჩვენი წარმატებები, როგორ ძირფესვიანად იკვლეს სახე გენიჩესკმა და რაიონის სოფლებმა. ვხედავდით ბოლო ხანებში აგებულ უამრავ ახალ საცხოვრებელ სახლს, სკოლებს, კულტურის სახლებს და მრავალ სხვა შესანიშნავ შენობას, კეთილმოწყობას, სისუფთავეს, გამწვანებას და ა. შ. მთელი რაიონი ზეიმობდა, ყველა — დიდი თუ პატარა. საყოველთაო-სახალხო დღესასწაული იყო გენიჩესკში მეგობრობის ზეიმი.

გენიჩესკელთა და მახარაძელთა ძმობა ერთ-ერთი მიზანდასახული, ზუსტად და მკაფიოდ გამიზნული დასაბუთებაა იმისა, რომ საბჭოთა ხალხების ლენინური მეგობრობა ჩვენი ძალისა და ძლიერების უშრეტი წყაროა.

ერძელდება რა დიდი მეგობრობა, ჩვენს წინაშე დგას ახალი დიდმნიშვნელოვანი საბრძოლო ამოცანები. გენიჩესკელი და მახარაძელი მშრომელები, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, ენერგიულად იბრძმენენ მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დავალებათა პირნათლად შესრულებისათვის, პარტიის XXIII ყრილობის და ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განუხრელად გატარებისათვის. კვლავაც ვამარავლებთ შრომითს მიღწევებს, ღირსეულად შევხვდებით დიად თარიღს — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავს!

ა. თოიძე.

საქართველოს კპ მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ნ. კუნიცა.

უკრაინის კპ გენიჩესკის რაიკომის პირველი მდივანი.

• • •

სურათზე: ა. თოიძე და ნ. კუნიცა.

აი რაზე შესწავლეთ გული კომუნისტებს

ქართული მარგანეცის ქალაქში ი. ბ. სტალინის სახელობის მაღარო ერთ-ერთი უძველესი და სახელოვანი ტრადიციების საწარმოა. მისი კოლექტივი ამაყობს რევოლუციური წარსულით, თავდადებული შრომით. ამ მაღაროს კოლექტივები დაიბადა ბევრი ახალი სასარგებლო წამოწყება, რომელიც ფართოდ გავრცელდა.

მაღაროს კოლექტივმა ჭიათურაში პირველმა ვადამდე შეასრულა შვიდწლიანი გეგმა. მაღაროელებმა წარმატებით იმუშავეს ხუთწლედის პირველ ორ წელსაც. მაგრამ ახე როდი ითქმის 1968 წელზე. მართალია, მადნის გამოღების ათი თვის დავალება 104,7 პროცენტით შეასრულეს, მაგრამ, რაც მთავარია, ვერ გაანაღდეს მაღალი ხარისხის კონცენტრატის გამოშვების გეგმა, საშობლოს დაკარგეს 3.082 ტონა მაღალხარისხოვანი მადანი. თვითღირებულებაშიც გადახარჯეს 92 ათასი მანეთი.

ეს .არ მოხდებოდა, რომ უფრო მაღალი იყოს კომუნისტთა თაოსნობა, ავანგარდული როლი, ორგანიზატორული მუშაობა, მომთხოვნელობა. ამიტომ მაღაროს პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე იგრძნობოდა საწარმოს კოლექტივის ჩამორჩენით გამოწვეული გულისტკივილი, სინანული. ვეტერანი კომუნისტი მაღაროელები დარცხვენილი გამოიყურებოდნენ...

პარტიული ბიუროს მდივანმა პ. ფალავანდიშვილმა საანგარიშო მოხსენებაში დიდი ადგილი დაუთმო წარმოების ეკონომიკის საკითხებს, ანალიზი გაუკეთა მაღაროს კოლექტივის ჩამორჩენის მიზეზებს. იგი განსაკუთრებით დაწვრილებითი შეეხო მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის გაუმართავ მუშაობას, ხაზი გაუსვა კომუნისტთა, წარმოების მეთაურთა ინიციატივის ამაღლების, პასუხისმგებლობის გაძლიერების საჭიროებას.

— ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებად რესპუბლიკაში კვლავ ჭიათურელი მაღაროელები გამოვიდნენ და ვალდებულებებს პირნათლად ასრულებენ, — აღნიშნა მომხსენებელმა. — მაგრამ ჩვენი მაღაროს კოლექტივისათვის უჩვეულო და სამარცხვინოა, რომ მაღალი ხარისხის მარგანეცის დამზადების გეგმას ვერ ანაღდებს, პროდუქციას აძვირებს.

მაღაროს კოლექტივმა მიმდინარე წლის ათ თვეში სასაქონლო პროდუქციის დამზადების დავალება მხოლოდ ორ თვეს შეასრულა. ეს ძირითადად მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის უხეირო მუშაობით აიხსნება. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ნაკლები ყურადღება ექცევა ხანგრძლივ მადნის პირველადს გამდიდრებას, ფუჭი ქანების ჩამოშორებას.

მადნის გამამდიდრებელ ფაბრიკაში მოუწესრიგებელია შრომა, უხარისხოდ სრულდება მანქანა-დანადგარების რემონტი. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ფაბრიკას ნაკლებად ეხმარება მაღაროსა და ტრესტის ხელმძღვანელობა.

მაღაროში ბევრი ინიციატივიანი, შრომისმოყვარე და აქტიური კომუნისტია. მთელი კოლექტივი ამაყობს კომუნისტური შრომის დამკვრელებით. ესენი არიან ა. ხარაიშვილი, ს. მაჭარაშვილი, ი. ბაპაძე, ვ. გამეზარდაშვილი, მ. ჭუმბურიძე, გ. ვარდოსანიძე, ს. ლეთოდიანი და სხვები.

პარტიული კრებების მომზადება-მოწყობაში აქტიურად მონაწილეობენ კომუნისტები ს. პეტრიაშვილი, ზ. თაბაგარი, ბ. ჭანტურიძე, უ. ცუხიშვილი, დ. კაპანაძე, ე. არველაძე, კ. აბულაძე, ნ. მაჭარაშვილი, ვ. ლოლაძე, ა. კაპანაძე...

მაგრამ მათ გვერდით არიან ისეთი კომუნისტებიც, რომლებიც უმოქმედობას იჩენენ, ნაკლებად აინტერესებთ წარმოების ღირსება, ივიწყებენ პარტიის საწესდებო მოთხოვნებს. პარტიულ კრებებზე საკითხების განხილვაში არ მონაწილეობენ კომუნისტები რ. სამხარაძე, თ. ტაბატაძე, გ. მოდებაძე და სხვები. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, პარტიულ კრებებზე არ არის გაბედული, პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა. ზოგი მოკამათე ერთობ მორიდებულია, სიმართლეს პირდაპირ ვერ ამბობს, შიშობს არავინ გაანაწყენოს. კომუნისტები ვ. დეკანაძე, ვ. ჯოშვილი, გ. ჩაჩანიძე და სხვები უგულებელყოფდნენ პარტიულ დავალებებს. თავიანთი პოლიტიკური ჰორიზონტის გაფართოებისათვის ნაკლებად ზრუნავენ კომუნისტები ა. გოგოლაძე, შ. ბრეგვაძე, კ. მაქაძე, რ. სამხარაძე; უმიზეზოდ აცდენენ მეცადინეობას. თუმცა მაღაროში შემცირდა შრომის დისციპლინის დარღვევები, მაგრამ უდისციპლინონი მაინც არიან. მათ შორის, სამწუხაროდ, ვხვდებით კომუნისტებს ლ. ცუცქირიძეს და ი. ბიწაძეს. ეს სამარცხვინოა.

ტრიბუნაზე ადის ვეტერანი მაღაროელი, სოციალისტური შრომის გმირი, პერსონალური პენსიონერი ტ. ფოფხაძე.

— ამ მაღაროში ორმოცი წელი ვმუშავებ, მიყვარს მისი კოლექტივი. მახარებს თქვენი წარმატება, მაწუხებს წარუმატებლობა. ახლაც გული მტკივა, მწუხარ, რომ ჩამორჩებით. ეს არ შეეფერის ამ მაღაროს სახელოვან ტრადიციას, მის კომუნისტებს. უნდა ამაღლდეს კომუნისტთა ავანგარდული როლი, თაოსნობა, ბრძოლისუნარიანობა, მშობლიური საწარმოს ღირსების დაცვისათვის მთელი კოლექტივის პასუხისმგებლობის გრძნობა. თუ საქმე მოითხოვს, პენსიონერებიც თქვენთან ვართ, მადნის სანგრევებს დავუბრუნდებით, — თქვა სოციალისტური შრომის გმირმა.

— სამწუხარო და სამარცხვინოა, რომ მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივი ჩამორჩენით მოვიდა საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე,—თქვა ფაბრიკის პარტბიუროს მდივანმა უ. ცუხიშვილმა.— ეს პირველ რიგში ფაბრიკის კომუნისტების სისუსტეა. მაგრამ ჩამორჩენა ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზებითაც აიხსნება. ზოგჯერ ფაბრიკას სწორად არ გეგმავენ, ხშირად დაბალი ხარისხის ნედლეულს ვღებთ, დიდია სამუშაოს მოცდენა, მოისუსტებს მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები, დამახინჯებენა ვაჭრობაში, ვერ ვიყენებთ ნახალისება-გაკიცხვის ღონისძიებებს. ეს ხარვეზები სწრაფად უნდა დავძლიოთ.

სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის გაძლიერების, შრომის დისციპლინის განმტკიცების, მომთხოვნელობა-პასუხისმგებლობის ამაღლების აუცილებლობაზე ილაპარაკეს მაღაროს პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ ზ. თაბაგარმა და მთავარმა ინჟინერმა ბ. ჭანტურიამ.

— თბილისწყლის გვირაბში აბანო-საშრობი ცუდად მუშაობს, — მომნგრევი ჩაქუჩები მაღე ფუჭდება, არ არის წყთელი კუთხე, რადიო დუმს. ზამთრისათვის მოსამზადებელ სამუშაოებს აგვიანებს ტრესტის სარემონტო-სამშენებლო სამართველო, — განაცხადეს მაღაროელებმა შ. სამხარაძემ და ი. შეიყლაშვილმა.

მარგანეცის ხარისხის ამაღლებაში კომუნისტთა როლზე ილაპარაკა მაღაროს ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსმა გ. გოქსაძემ. კამათში მონაწილეობენ ა. ბერიკაშვილი, ბ. ბაბალაძე, ბ. ბაბალაძე, ბ. ბაბალაძე

მსოფლიო დღეს •

საერთაშორისო ხლოვაჯა

• ქრონიკა ჯროგლამები

ჩვენი სოლიდარობა

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა კოლონეთის კომუნისტთა ყრილობაზე

მსოფლიო სოციალისტური სისტემის ყურადღების ცენტრში

ულან-ბატორი, 13 ნოემბერი. (საკ-დესი). მონღოლეთის სახალხოდემოკრატიული პარტიის, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ყურადღების ცენტრშია პოლონელ კომუნისტთა მე-5 ყრილობა, რომელიც ვარშავაში გრძელდება. აქ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ სიტყვას, რომელიც ყრილობაზე წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა. კომენტატორები გამოყოფენ სიტყვის იმ ადგილებს, სადაც ნათქვამია, რომ საჭიროა მოიწვიონ კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა ახალი თათბირი უახლოეს მომავალში და გადავიდნენ უფრო მძლავრ შეტევაზე იმპერიალიზმის წინააღმდეგ. განსაკუთრებით ხაზს უსვამენ ამბანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებს იმის შესახებ, რომ კომუნისტები ყველაფერს იღონებენ, რათა კიდევ უფრო განამტკიცონ სოციალიზმის პოზიციები.

სოფია, 13 ნოემბერი. (საკდესი). დღევანდელი ბულგარული გაზეთები ფართოდ აშუქებენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის მე-5 ყრილობას. ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას. სიტყვა გამოქვეყნებულია პირველ გვერდებზე დიდი სათაურებით: „კომუნიზმის იდეები ჩვენი საუკუნის ხელმძღვანელი იდეებია“. „წმიდად დავიცვათ სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპები“, „მარქსისტულ-ლენინური თეორია გადამწყვეტი ძალაა სოციალიზმისათვის ბრძოლაში“.

გაზეთები ხაზს უსვამენ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებს, რომ მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებული პარტია, რომელიც გამოხატავს მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის ნებას, გადამწყვეტი ძალაა სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

„რაბოტნიჩესკო დელო“ ყრილობის შესახებ ანგარიშში აღნიშნავს, რომ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა დელეგატებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს და მათზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა.

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა გადასცეს ბულგარეთის რადიოთი და ტელევიზიით და ბულგარეთის მთელი საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია.

ოსლო, 13 ნოემბერი. (საკდესი). ნორვეგიის დელეგაციამ ბიურომ გამოაქვეყნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის შინაარსი, რომელიც ვარშავაში წარმოთქვა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის მე-5 ყრილობაზე. ამასთან ხაზგასმულია სიტყვის ის ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ ძალების თანაფარდობა მსოფლიო მასშტაბით კვლავ იცვლება სოციალიზმისა და მისი მოკავშირეების სასარგებლოდ.

დეპეშათა ბიურო განსაკუთრებით აღნიშნავს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებს, რომ იმპერიალისტებს აშინებთ სამხედრო დამარცხება სოციალიზმის ძირითად ძალთან პირდაპირი შეტაკების შემთხვევაში.

ნიუ-იორკი, 13 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები და პრესა ბეჭდავენ ცნობებს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის მე-5 ყრილობის შესახებ, რომელიც ვარშავაში მიმდინარეობს.

გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ გამოაქვეყნა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვლადისლავ გომულკას მოხსენების შინაარსი, რომელიც მან ყრილობაზე გააკეთა.

იუნაიტედ პრეს ინტერნაციონალის სააგენტო აღნიშნავდა, რომ თავის მოხსენებაში ვ. გომულკამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმას, რომ საჭიროა იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერება პარტიაში და მისი ხელმძღვანელი როლის განმტკიცება.

ამერიკის საინფორმაციო სააგენტოებმა გამოაქვეყნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის ვრცელი შინაარსი, რომელიც მან პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ყრილობაზე წარმოთქვა და ხაზს უსვამენ, რომ იგი შეეხო ბევრ საერთაშორისო პრობლემას.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ხაზს უსვამს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის იმ ადგილს, სადაც ლაპარაკია სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების შეკავშირებასა და ურღვევ ერთობაზე.

ამერიკის სააგენტოები ხაზს უსვამენ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებს, რომ სოციალისტური ქვეყნები კვლავაც გააფართოებენ პოლიტიკურ და ეკონომიურ თანამშრომლობას. გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ბეჭდავს რა ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის შინაარსს, ხაზს უსვამს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის სიტყვებს, რომ საჭიროა ახლო მომავალში მოეწყოს კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირი.

პოლონელ კომუნისტთა ყრილობა

ვარშავა, 13 ნოემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ პოლონელ კომუნისტთა ყრილობაზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ტ. ჟივკოვმა. თანამედროვე საერთაშორისო ვითარება, თქვა მან, დაბეჯითებით მოითხოვს ჩვენგან, კომუნისტებისაგან, შევაკავშიროთ რიგები, განვამტკიცოთ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობა. ბულგარეთის კომპარტია ღრმად არის დარწმუნებული, რომ უახლოეს ხანს უნდა მოვიწვიოთ საერთაშორისო კომუნისტური თათბირი, რომელიც ხელს შეუწყობს კომუნისტთა მრავალმილიონიანი არმიის შეკავშირებას, თანამედროვე ვითარებაში მათი საერთო ხაზის შემუშავებასა და მთელი ანტიიმპერიალისტური ფრონტის განმტკიცებას.

ტ. ჟივკოვმა განაცხადა, რომ ამ ბოლო დროს იმპერიალიზმი ყოველი ღონისძიებით ცდილობდა მოქმედ ჩეხოსლოვაკია ჩამოეშორებინა სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობისათვის. მაგრამ, აღნიშნა მან. ჩაიფუშა ეს ცდა შეეცვალათ ძალების თანაფარდობა ევროპაში სოციალიზმის მტრების სასარგებლოდ. ხუთი სოციალისტური ქვეყნის დროულმა დახმარებამ, რომლებმაც შეასრულეს თავიანთი ინტერნაციონალური და მოკავშირული მოვალეობა სოციალისტური თანამეგობრობისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის წინაშე, აღვიკვეთა კონტრრევოლუციის მოქმედება.

მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ერთგულება, სოციალისტური შშენებლობის მთავარ კანონზომიერებათა დაცვა და მათი შემოქმედებითი გამოყენება და განვითარება ეროვნული პირობების შესაბამისად, საბჭოთა კავშირთან მეგობრობისა და თანამშრომლობისადმი ერთგულება ჩვენთვის, ბულგარელი კომუნისტებისათვის თითოეულ ქვეყანაში სოციალიზმის ეფექტიანი მშენებლობის ქვაკუთხედია, მსოფლიო სოციალისტური სისტემის საფუძველია, განაცხადა ტ. ჟივკოვმა.

ყრილობა მუშაობას განაგრძობს.

ბოლოდ ფაქტები

□ **ნიუ-იორკი.** (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 12 ნოემბრის დღის კლენარულ სხდომაზე განიხილა ეკვატორული გვინეის რესპუბლიკის განცხადება და შეიშროების საბჭოს რეკომენდაციის შესაბამისად ერთხმად დაამტკიცა რეზოლუცია **ეკვატორული გვინეის რესპუბლიკის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიღების შესახებ.**

ეკვატორული გვინეის რესპუბლიკა გახდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 126-ე წევრი.

□ **ლონდონი.** (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს მიღებული კორესპონდენტი გვატყობინებს, ერაყში აიკრძალა დასავლეთ გერმანიის სიმინფორმაციო სააგენტოს დპა-ს საქმიანობა.

განუცხადა რა ეს ჟურნალისტებს საუბრის დროს, ერაყის კულტურისა და ინფორმაციის მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ ეს მოხდა „არაბეთის საკითხებში დპა-ს პოზიციების გამო“.

□ **ანკარა,** 13 ნოემბერი. (საკდესი). ინგლისის მთავრობამ განაცხადა, რომ ცნობს და პატივს სცემს კამბოჯის სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას, ნეიტრალიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მის არსებულ საზღვრებში. ეს ნათქვამია დიდი ბრიტანეთის საელჩოს 8 ნოემბრის ნოტაში კამბოჯის მთავრობისადმი, რომელიც 12 ნოემბერს გამოქვეყნდა.

□ **უარაჩი.** მიმდინარე წლის მარტისათვის პაკისტანს **მოსახლეობამ მიაღწია 120.637.000 კაცს.** ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში, რომლის ფართობი მთელი ტერიტორიის 5,1 პროცენტს შეადგენს, ცხოვრობს 64.233.000 კაცი, ხოლო დასავლეთში — 56.404.000 კაცი. ეს ცნობები გამოქვეყნდა მომავალ საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით.

ფოტოინფორმაცია



● **ელექტროსადგური** იბსის (ავსტრია) ტერიტორიის შესახვლელი (სურათზე ზემოთ). აქ დაგეგმილია დუნაის წყლის რესურსების გამოყენებით ჰიდროელექტროსადგურების მთელი კასკადის მშენებლობა.

ფოტო ნ. სუბოტკინისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

● **თერთმეტი** წელიწადი მოანდომა 78 წლის იაპონელმა ფილოსოფოსმა და მოქანდაკემ სინზა იამადამ ბუდას 12-მეტრიანი ქანდაკების გამოძერწვას. ბუდა წარმოსახულია ლოტოსის გიგანტურ ფოთოლზე მჯდარი.

სურათზე (მარცხნივ ქვემოთ): სინზა იამადა ამთავრებს თავის მრავალი წლის შრომას.

ფოტო კეისტონ-საკდესისა



● **პარიზი.** მეტროს მონპარნასის სადგურში ამუშავდა 183 მეტრი სიგრძის მოძრავი ტროტუარი. არავეს ქუჩის ქვეშ მოთავსებული ეს ტროტუარი შედგება რეზინის სამი ბილიკისაგან, რომელთა მოძრაობის მიმართულების შეცვლა ხდება მგზავრთა დენადობის მიხედვით. მოძრავი ტროტუარის სიჩქარეა 50 მეტრი წამში, ხოლო გამტარუნარიანობა — საათში თერთმეტი ათასი კაცი.

სურათზე: პირველი მგზავრები მოძრავ ტროტუარზე.

ფოტო აფპ-საკდესისა.

ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტოს ცნობა

პრაღა, 13 ნოემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, 11 ნოემბერს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკიდან გაიქეცეს ორი ამერიკელი და ექვსი დასავლეთგერმანელი კორესპონდენტი. ისინი, ნათქვამია სააგენტოს ცნობაში, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ჩამოვიდნენ ტურისტებად და ქვეყანაში ყოფნის დრო მოანდომეს ისეთი კონმასალების შექმნას, რომლებიც ეწინააღმდეგება ჩეხოსლოვაკიის ინტერესებს.

იმის გამო, რომ ზემოხსენებულმა პირებმა ბოროტად გამოიყენეს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სტუმართმოყვარეობა, მათ აეკრძალათ შემდგომი ყოფნა ჩეხოსლოვაკიაში და ჩამოერთვათ კონმასალები.

ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტოს ცნობა

პრაღა, 13 ნოემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, 11 ნოემბერს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკიდან გაიქეცეს ორი ამერიკელი და ექვსი დასავლეთგერმანელი კორესპონდენტი. ისინი, ნათქვამია სააგენტოს ცნობაში, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ჩამოვიდნენ ტურისტებად და ქვეყანაში ყოფნის დრო მოანდომეს ისეთი კონმასალების შექმნას, რომლებიც ეწინააღმდეგება ჩეხოსლოვაკიის ინტერესებს.

იმის გამო, რომ ზემოხსენებულმა პირებმა ბოროტად გამოიყენეს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სტუმართმოყვარეობა, მათ აეკრძალათ შემდგომი ყოფნა ჩეხოსლოვაკიაში და ჩამოერთვათ კონმასალები.

მეშუარეებზე მონადირენი

შემოდგომაა. ჩამუქებული მანქანა-სანაგვეები ვაშინგტონის ქუჩებში წითელ-ყვითელ ფოთლებს ხვეტენ. აქა-იქ ფოთლებს ერთად აგროვებენ და წვავენ. იწვის უაღლოდ და კვამლი ლურჯ ბილიკებად ცისკენ მიიწევს. ბაღრში შემოდგომის ფოთლების კვამლის სუნი დგას, რომელიც ზოგჯერ ქალაქის ფერფლის სუნიც გაერევა ხოლმე. ჟურნალისტები ამტკიცებენ, რომ ვაშინგტონში ყოველთვის ასეთი არომატია, როდესაც თეთრ სახლში პატრონის შესაცვლელად ემზადებიან.

შემოდგომის ქუჩებში გამომცემლები დაეხეტებიან. მუქ კოსტიუმებსა და მუქ ლაბადებში მათ რამდენადმე სამგლოვიარო ელფერი დაჰკრავთ. ისინი ვაშინგტონში დღევანდელობის შესახებ მოგონებათა საძებნელად მოვიდნენ. მათ სჭირდებათ მასალა რაღაც ასეთს სახელწოდებით „როგორ იყო ეს სინამდვილეში“.

მოგონებებს ყიდულობენ ძირნე. სთავაზობენ დიდ თანხას, მართალია, იმის მიხედვით, თუ ვინ იგონებს და რას. თვითეულმა მოხელემ, ადმინისტრაციულ ახპარეზს რომ ტოვებს, იცის ეს და წინასწარ იმარაგებს მასალებს მოგონებებისათვის.

განსაკუთრებით ფასობენ პირადი მდგენები, რომლებიც საკმაოდ დიდ ძალას წარმოადგენენ ამერიკის პოლიტიკური წიგნის ბაზარზე. მათი მოგონებები თავიანთი ბოსების ცხოვრებასა და საქმიანობაზე ხშირად უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე თვით ბოსებისა.

გამომცემლები დაეხეტებიან შემოდგომის ქალაქში. თვლები ცისკენ აღუპყრიათ. ფიქრობენ ალ, მაგალითად, მაკნამარამ რომ დაწეროს „როგორ იყო ეს სინამდვილეში“, ან დინ რასკმა. მაგრამ არა გვგონია ისინი ახლო მომავალში რაიმეს დაწერას აპირებდნენ. რაც შეეხება თვით ჯონსონის ჩანაწერებს, ეს ერთობ რთული საქმეა. როგორც ცნობილია, პრეზიდენტს თეთრი სახლიდან თან მიაქვს ქაღალდის ყოველი ნაგლეჯი, რომლებიც კი მის მოღვაწეობას ეხება. ყველაფერ ამას იგი მოათავსებს თავის ბიბლიოთეკაში, რომელიც უკვე შენდება ტეხასში. მას ახლანდელი პრეზიდენტის სახელს მიაკუთვნებენ. მოთავსდება მისი სახელობის ტეხასის უნივერსიტეტის საზოგადოებრივ ურთიერთობათა სკოლის ტერიტორიაზე.

ერთხელ ჯონსონს თავისი თანამშრომლისათვის უთქვამს: „მ მინდა, რომ ეს იყოს პრეზიდენტის ყველაზე დიდი ბიბლიოთეკა მსოფლიოში“ მარტო მისი პირადი ქაღალდები შეავსებენ 2 ათას კარადას. ამას გარდა, პრეზიდენტმა გადაწყვიტა მოაწყოს თავისი ცხოვრების ისტორიის ალბომი. ეს ალბომი ალ, ალბ. ალ. ალ. ალ

ჩვენს ყალ-ქალაქში

გვატყობინებენ „კომუნისტის“ და საქართველოს კორესპონდენტები

„ვალიასტომი“

ასეთი წარწერა ამშვენებს თეძის სარეალიზაციო ახალ საფირმო მაღაზიას, რომელიც ოქტომბრის დღესასწაულის წინადღეებში გაიხსნა კოლხეთის ზღვისპირა ქალაქში. მაღაზიაში საუცხო ასორტიმენტია. მომხმარებლებს საშუალება აქვთ წინასწარ მისცენ დაკვეთები მათთვის სასურველ თეკზეულზე.

ბ. კომახიძე.

სურათზე: გუშინ გორის ტურნირზე. ფოტო ბ. გოგოხიასი.

ბუნების ჭირვეულობა

კოკისპირული წვიმა აფთარონზე

ბაკოში ძირითადად დამთავრდა იმ კოკისპირული წვიმის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები, რომელიც 9 ნოემბერს ღამით დაატყდა თავს ქალაქს.

როგორც აზერბაიჯანის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადეს ბაკოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომში, ასეთი ძლიერი წვიმა აფშერონის ნახევარკუნძულზე 80 წელია არ ყოფილა. ღვარცოფები ქალაქის მთიანი ნაწილიდან დაბლა, ზღვისაკენ მიეკანებოდა. ალაგ-ალაგ მათი დონე მეტრნახევარს აღწევდა. ამან გარკვეული შეფერხება გამოიწვია ქალაქის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშაობაში, დაარღვია მთელ რიგ საწარმოთა ნორმალური საქმიანობა, ზოგან ნიაღვარმა დატბორა ერთსართულიანი სახლები და სარდაფები.

სტიქიის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოვიდნენ ბაკოს საწარმოთა მშრომელები, სახანძრო დაცვის მუშაკები, მეიმრები. აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციისათვის შეიქმნა შტაბი. ოპერატიულად განხორციელებულ ღონისძიებათა მეოხებით ქალაქში მდგომარეობა ნორმალიზებულია. განახლდა ქალაქის ტრანსპორტის მუშაობა. ბაქოელთა ათობით ოჯახი, რომელთა სახლები კოკისპირულმა წვიმამ დაანგრია, ახალ ბინებში შეასახლეს.

ეს საინტერესოა

ადამიანი და ფერი

ადამიანი ცხოვრობს შეფერილი შუქის ნაკადების გარემოცვაში, რომელზისადმიც იგი სრულებითაც არ არის გულგრძელი. საბჭოთა მკვლევრების **თეოდორე გორბოვის, ბორის დუშკოვის, თეოდორე კოსმოლინსკის** და სხვათა ექსპერიმენტებმა ცხადყო, რომ **ადამიანებს, რომლებიც გამლიზიანებელთა სიმცირის პირობებში იმყოფებიან, ეცვლებათ გუნება, უვითარდებათ დაღლილობა, დაძაბულობა.**

ფსიქოლოგთა კვლევა ადასტურებს ფერის გავლენას ემოციურ მდგომარეობაზე. იგი განსაკუთრებით შესამჩნევია პათოლოგიურ შემთხვევებში. ძლიერ სიშმაგეს, ბორგვას ადვილად აცხრობდნენ, როცა ოთახს **ლურჯად** გაბავებენ ოთახში ათავსებდნენ. აღმოჩნდა, რომ ფსიქოლოგიური პლანით ლურჯი ფერი დამამშვიდებელ მოქმედებით სისხლის წნევა კლებულობს, **გულისა და სუნთქვის რიტმი ნელდება.** ფერების ამ თვისებებს წარმატებით იყენებდნენ ზეკანონიერთა და ბორკვიერულ შეშლილთა მკურნალობისას. ცნობილია აგრეთვე, რომ **ნეკრალგიურ დაავადებათა მკურნალობისას კარგად მოქმედებს ცისფერი და იისფერი სხივები.**

გამორკვეულია, რომ ფერის ინტენსივობის შეცვლისას ეფექტი შეიძლება საწინააღმდეგო გახდეს. როგორც ნერვულ ადამიანებზე მორის **დერიბერგის** მიერ წარმოებულმა ცდებმა ცხადყო, ლუმინესცენციური ნათურა, დაფარული თეთრის სალიკატით, რომელიც სილეტურ მწვანე ფერს იძლევა, 20 ლუქსის პირობებში დამამშვიდებელ მოქმედებას ახდენდა. როცა შუქი 200 ლუქსამდე იქნა აყვანილი, იგი გამღიზიანებელი გახდა, ამასთან ზოგიერთს ამან ნერვიულობა და გულისრევაც კი დამართა. ექსპერიმენტმა დაადასტურა, რომ კარგად გაფილტრული შუქი უფრო ძლიერ ფიზიოლოგიურ და თერაპიულ ზეგავლენას ახდენს. ვიდრე უფრო ფართო სპექტრიანი შუქი. სავარვარო ნათურების შუქზე, თუ ისინი დაფარულია ლაქით, რომელიც ატარებს თითქმის მთელ სპექტრს, სადაც სჭარბობს **მწვანე, ყვითელი** ფერი და **ცისფერი,** დამამშვიდებელი ზემოქმედება მკვეთრად მეტადვანდება მხოლოდ 50-დან 500-მდე ლუქსის ფარგლებში, რის შემდეგ შუქი გამღიზიანებელი და უსასიამოვნო ხდება. ფერის მოქმედება იმდენად რეალურია, რომ დადგა საკითხი იმის გამორკვევისა, თუ რა როლს ასრულებს იგი საკმლის მონელებაში. რესტორანში ფერად განათებაზე დაყენებულმა ცდებმა გამოავლინა წმინდა ფიზიოლოგიური გავლენა საკმლის მონელების პროცესზე. **გამოირკვა, რომ ჭიანის დროს ზომიერი თეთრი შუქი გაცილებით უფრო სასიკეთოდ მოქმედებს, ვიდრე ფერადი შუქი. ჭიანის შემდეგ ნარინჯისფერი შუქის ჩართვა სასიამოვნო შეგრძნებას და მსუბუქი სიმთვრალის მდგომარეობასაც კი იწვევდა.**

მაგრამ ფერის კეთილმყოფელი, „გამახალისებელი“ გავლენა, თუ იგი უცვლელი იქნა, არ გამოვლინდება ფერების ოპტიმალურად ორგანიზებულ გარემოცვაში კი. **დროთა განმავლობაში იგი მონოტონურ გაღიზიანებლად იქცევა.** როგორც ჩანს, საჭიროა აგრეთვე ფერების შეთანეტიდერებათა შეცვლა, რომელიც დროში კოლორიტის რიტმულად ორგანიზებული ალტერნატიული ასახვა „შავი სამყაროსი“, რომელიც ევროპაში ფაშიზმის გაბატონებამ წარმოშვა, და მეორე მხრივ დამაჯერებელი დასაბუთება იმისა, რომ თვით ფაშიზმის საფლობელოშიც არსებობს ნათელი და დაუმორჩილებელი ძალა, უკვდავი სული ადამიანისა, რომელსაც შესწევს უნარი წინადუდგეს ყოველგვარ ბოროტებას, დესპოტიზმს.

„ანტიგონეში“ ძირითადად ორი ექსპოზიცია თამაშობს გადამწყვეტ როლს. პირველის ქარგას ქმნის ცნობილი ეპიზოდი ლაბდაკიდების მითიდან, რომელიც ანტიგონეს მიერ თავისი ძმის — პოლინიკეს დამარხვას ეხება. ეს ეპიზოდი ოდდათხი საუკუნის წინ ბერძნული ტრაგედიის კორიფემ სოფოკლემ გამოიყენა და ანტიგონეს მხატვრული განსზოგადებით ადამიანის მარადდაუმორჩილებელი სულის უკვდავი სახე შექმნა. სწორედ ადამიანის სრულყოფისაკენ დაოკეებული მისწრაფება იყო ის ანდამატი, რომელმაც ანუი მინიზიდა ფრანგი ხალხისათვის მეტად საჭირბოროტო პერიოდში.

რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექტივმა პიესის ორივე ექსპოზიცია სწორად გაიაზრა და რეალურისა და წარმოსახვითი გარემოს ლაბირინთებში ეზის გასაგებად შესანიშნავი მეგზური შეარჩია. რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ბურაბ საღარაძმ მისთვის ჩვენი ოსტატობით განსასახიერებს პროლოგისა და ქორუსი — ოსტატური ასახვა „შავი სამყაროსი“, რომელიც ევროპაში ფაშიზმის გაბატონებამ წარმოშვა, და მეორე მხრივ დამაჯერებელი დასაბუთება იმისა, რომ თვით ფაშიზმის საფლობელოშიც არსებობს ნათელი და დაუმორჩილებელი ძალა, უკვდავი სული ადამიანისა, რომელსაც შესწევს უნარი წინადუდგეს ყოველგვარ ბოროტებას, დესპოტიზმს.

ფერის დამამშვიდებელ შეიძლება გაუმკობესდეს ტემპერატურის კომფორტული პირობები და ამასთან არ შეიცვალოს გარემოს ტემპერატურა. გამოკვლევით დადგენილია, რომ ერთნაირი ტემპერატურის დროს ადამიანებს ეჩვენებათ, რომ ყვითელ ოთახში უფრო თბილა, ცისფერში კი ცივა. ფერის ეს თვისება გასაოცარია და უკანასკნელ დრომდე იგი ვერ აუხსნიათ. ამერიკელმა მკვლევრებმა ამას წინათ მოახდინეს საინტერესო ექსპერიმენტი, რომელმაც ცხადყო, რომ ამ შეგრძნებებს საფუძვლად არ უდიეს სხეულის ტემპერატურის რეალური ცვლილება. როგორც ჩანს, ფერებით მიღებული შთაბეჭდილებანი დაკავშირებულია ასოციაციებთან, რომლებსაც ყვითელ-ყვითელი ფერები იწვევენ ციცხლთან, მზესთან და საერთოდ სითბოს წყაროებთან დაკავშირებით, ხოლო ცივი გამის ფერები უკავშირდება მოვლენებს, რომლებშიც სითბო არ არის, — ნისლს, წყალს, ლითონს.

ფერის სივრცითი თვისებები შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს ადამიანის კომფორტული პირობების გაუმჯობესებაში. შემომკვეთელ კონსტრუქციებზე დადებულ ფერებს შეუძლიათ „გაფართოონ“ ან „დაავიწროონ“ ინტერიერი, შექმნან უფრო ახლოს ან უფრო შორს მყოფის შთაბეჭდილება ზედაპირთა ფაქტიურ განლაგებასთან შედარებით. კედლების შეღებვის ყოველნაირი ფერი არღვევს მის ურყეობას: ხდება კედლის ტრანსფორმირება, მისი გადანაცვლება სივრცეში. **ცისფერად, იისფერად, მოცისფრო-მწვანედ,** ერთი სიტყვით, **ცივ ფერებად** შეღებილი ზედაპირები უფრო დაშორებული ჩანან, ვიდრე **თბილ ფერებად: წითლად, ნარინჯისფრად, ყვითლად** შეღებილი სიბრტყეები, რომლებიც წინწამოწეული გვეჩვენება. ფერის ეს თვისებანი შეიძლება გამოყენებულ იქნას ადამიანის არსებობის სივრცითი პირობების გასაუმჯობესებლად.

შეხვედრა ანტიგონესთან

ჟან ანუის პიესა რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე

• თეატრი •

საინტერესო სახეებს. ნიჭიერი მსახიობის ალდაუტანებელი თამაში, მომხიბლავი ბუნებრიობა პირველი რეპლიკისთანავე იმორჩილებს მაყურებელს, შემდეგ მთელი პიესის მანძილზე მიუძღვის წინ და მოხეხებულად ახდენს მრავალწახნაგოვანი მოვლენების სიღრმეში.

პიესის მთავარი ჰერსონაჟები ანტიგონე და კრეონტი ორ სხვადასხვა კონცეფციას, ცხოვრების გაგებისა და ადამიანის მოვალეობის სხვადასხვა პოზიციას იცავენ.

ძნელია მოიძებნოს შესაფერისი ეპითეტები იმ დიდი სიამოვნების გადმოსაცემად, რასაც ზაქარიაძისეული კრეონტი განაცდევინებს მაყურებელს. მოვალეობის იძულებითი მოხდისა და ადამიანური ღირსების დაკარგვის თვითშეგნებით გამოწვეული ტკივილი სერგო ზაქარიაძმს ტრაგიკულ სიმაღლემდე აჰყავს და, მიუხედავად კრეონტის „ჭეშმარიტი საქმიანობისა“, გაორებული ადამიანის სულიერ სამყაროს ისე დამაჯერებლად ხსნის, რომ ხშირად მაყურებელში ზიზღის ნაცვლად სიბრალულის გრძნობას ბადებს. შინაგანი პოლემიკის დიდოსტატი — სერგო ზაქარიაძეს ზომიერების სადაგები მტკიცედ უპყრია ხელთ. ს. ზაქარიაძის დიდმა ამტიორულმა ხელოვნებამ სწორედ ამ გადამწყვეტ მომენტში იჩინა თავი, მან შექმნა ძლიერი და ტრაგიკული ადამიანის ისეთი სახე, რომელიც მაყურებელს მკაცრად აფრთხილებს, რომ მაღალი ადამიანური პრინციპებისათვის ბრძოლა ერთადერთი გზაა ჭეშმარიტი ბედნიერების მისაღწევად.

ანტიგონეს რთული და მეტად თავისებური როლი რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ზინა კვერენჩხილაძემ განასახიერა. მისი ანტიგონე გულწრფელი, ძლიერი და თავის თავში დაჯერებული მეამბოხეა. თავისი ძალის აპოთეოზს კვერენჩხილაძე მეორე მოქმედებაში აღწევს, როცა კრეონტთან დიალოგში სამარცხვინო ბოიზე აკრავს ბედნიერების კრეონტისეულ გაგებას, მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ საერთოდ როლი არ არის სრულყოფილად გადაწყვეტილი. ამაზე ქვემოთ ვიტყვით.

ნიჭიერად განასახიერეს ჩაფრების როლი რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა ბ. წიფურიამ (ეონა), ს. ისნელმა (ბუდუსი) და მსახიობმა ლ. ზაუტაშვილმა (დიურანი).

კრეონტის მსახურის ორიგინალური სახე შექმნა თეატრალური ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტმა მ. ჯანაშიამ.

სპექტაკლში არის ლამაზი და დასამახსოვრებელი სცენები ძიძის (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თ. თბილარაძე), ისმენის (მსახიობი ბ. გაბუნია), ჰემონის (მსახიობი ს. ლაღიძე) თამაშში, მაგრამ მათ მიერ შექმნილი სახეები განცალკევებულია და ვერ აღწევს იმ ჰარმონიას, რომელსაც ნათლად უნდა გამოეკვეთა ანუის ანტიგონეს თავისებურება. პიესის პირველი ნახევარი, რომელიც XX საუკუნის ლირიკული დრამის ნიმუშად არის აღიარებული, ჩვენი თეატრის სცენაზე ყოფითმა ტონმა შთანთქა და დაიკარგა ის მაღალი პოეტური განცდა, რომლის წყაროობითაც მაყურებელს უნდა ეგრძნო ანტიგონეს სულიერი სამყაროს ღრმა პოეტურობა. იმის გამოც, რომ რუსთაველის სახელობის თეატრში ანუის ანტიგონე მეტისმეტად მიამსგავსეს სოფოკლეს გმირს (რაც მხოლოდ მეორე მოქმედების გარკვეულ ნაწილში იყო დასაშვები), ძალიან ბევრ უხერხულობას გრძნობს მაყურებელი და ზოგჯერ ეს უხერხულობა გაუგებრობაშიც გადადის. საქმე ის არის, რომ ანუის ანტიგონე თავისი ბუნებით უმანკო ბავშვია, რის დამამტკიცებლადაც დრამატურგმა, სოფოკლესგან განსხვავებით, პიესაში მრავალი ახალი ელემენტი შემოიტანა (ძმის დასამარხად ანტიგონეს პატარა, სათამაშო ნიჩბით წასვლა, გვამზე მიყრილი მიწის ბავშვის საქმედ მიჩნევა, იქვე დარჩენილი ნატერფალის ჩიტის ნაკვალევთან მიმსგავსება, კრეონტის მოპარვა ანტიგონესადმი, მისი ეპითეტები — „შე ბედურა, შენა“ და მრავალი სხვა).

პიესის პირველი რეპლიკიდან უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ანტიგონეს მხოლოდ „პატარა ანტიგონედ“ იხსენიებენ. რეჟისორმა და მსახიობმა კი ყველაფერი ეს შემთხვევითობად ჩათვალეს და ახალი ანტიგონეს ხასიათის თავისებურება სათანადოდ ვერ მიიტანეს მაყურებლამდე. ამიტომ არის, რომ გაჭიანურებულად მოჩანს პიესის პირველი ნახევარი, რომელიც სწორედ ანტიგონეს ბავშვური ხასიათის თვისებურების ახსნისა და დასაბუთებისათვის სჭირდებოდა დრამატურგს. ამავე მიზეზით ანუის პოზიტიური გმირებისათვის შეუფერებლად გადაჭარბებული ვნებიანობით არის წარმოდგენილი ჰემონისა და ანტიგონეს პირველი შეხვედრის სცენა, რომელიც ანუის მიხედვით უმანკო ბავშვებში გრძნობის პირველი აფეთქებით გამოწვეული სირცხვილნარევი სიწითლის საზღვრებს არ უნდა სცილდებოდეს; ამიტომ არის, რომ პიესის დასასრულს დამაჯერებლად ვერ გამოიკვეთა ანტიგონეს მორალური გამარჯვების სიცხადეც.

ჩვენი აზრით, საჭირო იქნება ანტიგონეს მხატვრული სახის გახსნის ერთგვარი გადასინჯვა (განსაკუთრებით პირველ მოქმედებაში) და ანუისეული გაგებასთან მჭიდროდ მისვლა; აგრეთვე ანტიგონეს ბანაკის უფრო სრულყოფილი გამოკვეთა, წინწამოწევა, უკანასკნელ სცენებში ისმენესა და ჰემონის ისეთი გარდასახვა, რომელიც დამაჯერებლობას შემატებს როგორც მათს უკანასკნელ გადაწყვეტილებებს, ისე მათი ცხოვრებისეული კრედოს რადიკალური შემობრუნების სიცხადეს.

ჯერჯერობით კი ის გვრჩება სათქმელად, რომ, ზემოთ გამოთქმული შენიშვნების მიუხედავად, „ანტიგონე“ რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე ერთ-ერთი საინტერესო სპექტაკლია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ დადგმით დასაალეთის ინტელექტუალური დრამის სცენური ხორცშესხმის ისტორიაში კიდევ ერთი კარგი ფურცელი ჩაიწერა.

იზოლდა ბაჩიაშვილი.

• • •

სურათზე: რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ზინა კვერენჩხილაძე ანტიგონეს როლში.

ფოტო მ. ბაბოვისა.

ტურნირი გორში

ვ. ქარსელაძის მემორიალი

სსრ ძალგირის დამსახურებული მწვრთნელის ვახტანგ ქარსელაძის საკადრაკო მოღვაწეობა, როგორც მწვრთნელის და ადმზრდელისა, ფართოდ არის ცნობილი. ადრე სწორედ მისი ხელმძღვანელობით მეცადინეობდა პიონერთა სასახლეში მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი. ვ. ქარსელაძემ დიდ საკადრაკო ასპარეზზე გამოიყვანა ავრეთვე ნანა ალექსანდრია და არაერთი სხვა ცნობილი მოკადრაკე.

ორი წელი გავიდა, რაც მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ვ. ქარსელაძე. საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია ცნობილი მწვრთნელის ხსოვნის აღსანიშნავად გორში მართავს გროსმაისტერთა და ოსტატთა დიდ ტურნირს.

და აი უკვე ჩვენი ქვეყნის ცნობილი გროსმაისტერები და ოსტატები გორის სტუმრები არიან. სტუმართმოყვარე გორელებმა მათ გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. ვინ მიიწვიეს ტურნირის ორგანიზატორებმა შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად? ესენი არიან მსოფლიოს ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ტალი, გროსმაისტერები ე. გელერი, ე. გუფელდი და სხვები.

რა თქმა უნდა, ტურნირზე გამოდიან აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის წამყვანი მოკადრაკე ვაუები.

სენსაცია სტარტზე

გუშინ გაიმართა პირველი ტური. შეჯიბრება სენსაციით დაიწყო — გოკუჩავამ დამარცხა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ტალი. მსოფლიოს ჩემპიონმა გაფრინდაშვილმა მოუგო მუქნიაშვილს, საერთაშორისო ოსტატმა გურგენიძემ — სომხეთის ჩემპიონს გრიგორიანს, ჯინჯიხაშვილმა—ჩიკოვანს, უგილავა და მიქაძე ყაიმზე შეთანხმდნენ. გროსმაისტერების გელერისა და გუფელდის პარტია არ შემდგარა.

სპორტი

თბილისის რინგზე

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო ჩვენი ქვეყნის გუნდური პირველობის გათამაშება კრივში. პირველ დღეს პაექრობა ჰქონდათ პროფკავშირებისა და „სპარტაკის“ გუნდებს. წარმატება პროფკავშირის მოკრივეებს ხვდათ ანგარიშით 7:4. შეჯიბრება 18 ნოემბრამდე გაგრძელდება.

პელეს—თასი

რუბერტ ვიუფყეთდით, სან-პაულუს ნაკრებისა და „ბოტაფოგოს“ გუნდების მატჩში პელემ ოფიციალურ შეხვედრებში თავისი მეცხრაასე ბურთი გაიტანა. დიდი ბრიტანეთის ფედოფალმა ელიზაბეთმა, რომელიც ბრაზილიაში სტუმრად იმყოფებოდა, პელეს ამ შეხვედრისათვის დაუსვამენ თასი გადასცა.

სტრელცოვი, გაკაშელი თუ ...გდურაკიმოვი?

საიუბილეო ჩემპიონატის ფინიშს სამი წამყვანი ბომბარდირი შემორჩა. ესენი არიან მოსკოვის „ტორპედოს“, თბილისის „დინამოსა“ და ტაშკენტის „პახტაკორის“ ფორვარდები — **სტრელცოვი, გავაშელი, აბდურაიმოვი.** თითეულ მათგანს დღეისათვის გატანილი აქვს 20 ბურთი და გაზეთ „ტრუდის“ პრიზის მოპოვების რეალურ შანსებს ინარჩუნებენ.

მართალია, ჩემპიონატის დამთავრებამდე სამიოდე მატჩი დარჩა, მაგრამ სწორედ ამ შეხვედრებმა უნდა გამოავლინოს ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორები, ამასთანავე, გამოავლინოს მთავარი ბომბარდირი. რა თქმა უნდა, დიდ ინტერესს იწვევს თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ 16 ნოემბრის შეხვედრა. ფეხბურთის მოყვარულები უშუალოდ იქნებიან იმის მოწმენი, თუ ვინ გაიტანს ოცი გოლის ზღვარს — **სტრელცოვი თუ გავაშელი.** ამის შემდეგ კი უნდა დაველოდოთ ტაშკენტის მატჩს „პახტაკორსა“ და მოსკოვის „სპარტაკს“ შორის, რომელიც 17 ნოემბერს შედგება. აქ კი ჯერი აბდურაიმოვზეა. როგორც ვხედავთ, ვითარება ძალიან რთული და საინტერესოა. ჩვენც დაველოდოთ, ვნახოთ რით გადაწყდება ეს დავა.

• • •

სურათზე: **ბ. გავაშელი** 12 ნოემბრის მატჩში „კარლა სოვეტოვის“ კართან.

ადამიანი და ფერი

დებლად მოქმედებს. მისი ეს თვისებურება ინტუიციით გამოცნობილია ამერიკელ ზანგთა ფოლკლორში, რომლებიც ბელანქოლიური ხასიათის თავიანთ სიმღერებს ბლიუზებს — „ლურჯს“ უწოდებენ. ექსპერიმენტულად დამტკიცებულია, რომ **წითელი** ფერის დახმარებით შეიძლება ზოგჯერ მიღწეულ იქნას მანიაკალური ფსიქოზის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. ავადმყოფმა, რომელიც უარს ამბობდა საჭმელის მიღებაზე, ადამიანებთან კონტაქტზე, მას შემდეგ, რაც იგი წითელ ოთახში მოათავსეს, იგრძნო ლაპარაკის მოთხოვნა ბორბლოვა, მოთხოვნა საჭმელი, იწყო ინტერესის გამოჩენა იმისადმი, რაც მის გარშემო ხდებოდა.

წითელი და ლურჯი სათავეში უდგანან ფერების ჯგუფებს, რომლებიც ფსიქიკა-ფიზიოლოგიის თვალსაზრისით პირდაპირ ურთიერთის საწინააღმდეგოდ მოქმედებენ. **პირველი ჯგუფის ფერებით ზემოქმედება ზრდის კუნთის დაძაბულობას, აძლიერებს სისხლის წნევას და ახშირებს სუნთქვის რიტმს, ზრდის გულის შეკუმშვათა სიხშირეს.** ფსიქიური პლანით წითელი იგზნებას იწვევს, კაეშანს განაბნევს, ადამიანს გუნებას უუმჯობესებს და ყურადღებას გარეესმაყოფილადმი მიაპყრობინებს. როგორც ცდებმა გვიჩვენა, აპათიური და ანემიური ბავშვების მკურნალობისას წითელი ფერის გამაქტიურებელი მოქმედება იმით გამოიხატა, რომ იმატა სისხლის წითელი სხეულაკების რაოდენობამ, ბავშვის წონამ, გაუძლიერდა აქტივობა და გაუუმჯობესდა გუნება.

ცისფერის, ლურჯის, ესე იგი განსაკუთრებით პასიური ფერების მოქმედებით სისხლის წნევა კლებულობს, გულისა და სუნთქვის რიტმი ნელდება. ფერების ამ თვისებებს წარმატებით იყენებდნენ ზეკანონიერთა და ბორკვიერულ შეშლილთა მკურნალობისას. ცნობილია აგრეთვე, რომ **ნეკრალგიურ დაავადებათა მკურნალობისას კარგად მოქმედებს ცისფერი და იისფერი სხივები.**

გამორკვეულია, რომ ფერის ინტენსივობის შეცვლისას ეფექტი შეიძლება საწინააღმდეგო გახდეს. როგორც ნერვულ ადამიანებზე მორის **დერიბერგის** მიერ წარმოებულმა ცდებმა ცხადყო, ლუმინესცენციური ნათურა, დაფარული თეთრის სალიკატით, რომელიც სილეტურ მწვანე ფერს იძლევა, 20 ლუქსის პირობებში დამამშვიდებელ მოქმედებას ახდენდა. როცა შუქი 200 ლუქსამდე იქნა აყვანილი, იგი გამღიზიანებელი გახდა, ამასთან ზოგიერთს ამან ნერვიულობა და გულისრევაც კი დამართა. ექსპერიმენტმა დაადასტურა, რომ კარგად გაფილტრული შუქი უფრო ძლიერ ფიზიოლოგიურ და თერაპიულ ზეგავლენას ახდენს. ვიდრე უფრო ფართო სპექტრიანი შუქი. სავარვარო ნათურების შუქზე, თუ ისინი დაფარულია ლაქით, რომელიც ატარებს თითქმის მთელ სპექტრს, სადაც სჭარბობს **მწვანე, ყვითელი** ფერი და **ცისფერი,** დამამშვიდებელი ზემოქმედება მკვეთრად მეტადვანდება მხოლოდ 50-დან 500-მდე ლუქსის ფარგლებში, რის შემდეგ შუქი გამღიზიანებელი და უსასიამოვნო ხდება. ფერის მოქმედება იმდენად რეალურია, რომ დადგა საკითხი იმის გამორკვევისა, თუ რა როლს ასრულებს იგი საკმლის მონელებაში. რესტორანში ფერად განათებაზე დაყენებულმა ცდებმა გამოავლინა წმინდა ფიზიოლოგიური გავლენა საკმლის მონელების პროცესზე. **გამოირკვა, რომ ჭიანის დროს ზომიერი თეთრი შუქი გაცილებით უფრო სასიკეთოდ მოქმედებს, ვიდრე ფერადი შუქი. ჭიანის შემდეგ ნარინჯისფერი შუქის ჩართვა სასიამოვნო შეგრძნებას და მსუბუქი სიმთვრალის მდგომარეობასაც კი იწვევდა.**

მაგრამ ფერის კეთილმყოფელი, „გამახალისებელი“ გავლენა, თუ იგი უცვლელი იქნა, არ გამოვლინდება ფერების ოპტიმალურად ორგანიზებულ გარემოცვაში კი. **დროთა განმავლობაში იგი მონოტონურ გაღიზიანებლად იქცევა.** როგორც ჩანს, საჭიროა აგრეთვე ფერების შეთანეტიდერებათა შეცვლა, რომელიც დროში კოლორიტის რიტმულად ორგანიზებული ალტერნატიული ასახვა „შავი სამყაროსი“, რომელიც ევროპაში ფაშიზმის გაბატონებამ წარმოშვა, და მეორე მხრივ დამაჯერებელი დასაბუთება იმისა, რომ თვით ფაშიზმის საფლობელოშიც არსებობს ნათელი და დაუმორჩილებელი ძალა, უკვდავი სული ადამიანისა, რომელსაც შესწევს უნარი წინადუდგეს ყოველგვარ ბოროტებას, დესპოტიზმს.

„ანტიგონეში“ ძირითადად ორი ექსპოზიცია თამაშობს გადამწყვეტ

„დინამოს“ სტადიონი

აკ. წერეთლის პროსპექტი № 2

ტელ. 95-21-62

15 და 16 ნოემბერს

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობის გათამაშება „ა“ კლასის I ჯგუფის გუნდებს შორის.

„დინამო“ თბილისი — „ტორპედო“ მოსკოვი.

15 ნოემბერს სათადარიგო შემადგენლობანი

16 ნოემბერს ძირითადი შემადგენლობანი

თამაშის დასაწყისი 15 საათზე.

16 ნოემბრისათვის ბილეთები წინასწარ გაიყიდება აბონემენტებით „დინამოს“ სტადიონის სალაროებში 14 და 15 ნოემბერს 11-დან 18 საათამდე, შესვენება 14-დან 15 საათამდე. ბილეთების საერთო გაყიდვა 16 ნოემბერს დილის 10 საათიდან.

ბინებული საფეხბურთო სპექტაკლი

ბინებული საფეხბურთო სპექტაკლი — ასე უწოდეს ჟურნალისტებმა „მარაკანას“ სტადიონზე შედგარ დიდ საერთაშორისო მატჩს ბრაზილიისა და ფიფს ნაკრებ გუნდებს შორის, რომელიც ბრაზილიელთა პირველი მსოფლიო ჩემპიონობის ათი წლისთავს მიეძღვნა.

შეხვედრის შედეგი ფეხბურთის მოყვარულთათვის ცნობილია — 2:1 ბრაზილიელთა სასარგებლოდ. მაგრამ მკითხველთათვის ინტერესსმოკლებული არ იქნება იცოდნენ თუ რას ეერდნენ ჩვენს ტრიოზე — **იაშინზე, მეტრეველზე** და **შესტერნინოვზე.**

პირველმა იერიშებმა ბრაზილიელებს წარმატება მოუტანა. **ლ. იაშინი, ს. მეტრეველი და ა. შესტერნიოვი საუკეთესონი იყვნენ**

ველინომ გვერდი აუარა რამდენიმე მცველს და დაახლოებით 13 მეტრიდან იშვიათი სიძლიერის დარტყმით **იაშინის** კარი ეიღო. — ასეთ შემთხვევაში მეკარეს არაფრის გაკეთება არ შეეძლია — განაცხადა „ნასთნალის“ რადიოკომენტატორმა. ამ აზრს ბრაზილიის თითქმის ყველა გაზეთი დაეთანხმა, როდესაც **იაშინს** ასახელებდნენ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელთა რიგებში. ასეთი შეფასება მან დაიმსახურა ორი ბრწყინვალე ნახტომით. ერთ მათგანს „საოცარი“ უწოდეს, მეორეს — „შეუდარებელი“.

მეორე ტაიმში **მეტრეველის, როჩასა** და **ფარკაშის** გამოსვლამ ფიფას ნაკრების თამაშში მეტი სიმძაფრე შეიტანა. აი რას წვრდა ჩვენს თანამემამულე მეტრეველზე „ეორნალ დე ბრაზილი“ — **იგი ამანსიოზე** უკეთესი იყო, ჭკვიანად გადიოდა ფლანგიდან, ხშირად ატყუებდა ჩვენს **ეეერალდოს.**

აღინიშნა აგრეთვე **შესტერნიოვის** დამაჯერებელი თამაში, გაზეთი „კორეიო და მანია“ წერდა — იგი თამაშობდა მშვიდად, ამყარებდა თამაშის მაღალ კლასს.

რა ვნახოთ. რა მოვისმინოთ

რადიო

15 ნოემბერი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — დილის კონცერტი, 08.30 — პოპულარული სიმფონიური მუსიკა, 09.30 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 09.50 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 11.05 — დ. არაყიშვილი. სტრიქონი ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“, 11.30 — უკანასკნელი ცნობები, 11.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 12.10 — რადიონარკვევი „პროპაგანდისტი“, 12.25 — ა. გლაზუნოვი. სლავური კვარტეტი და რომანსები, 13.30 — „ბზიკი „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — ოფხაზური სიმღერები, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.35 — მოსწავლეთათვის. „წიგნის თარო“, 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.10 — მ. რიველი. ბოლერო, 18.30 — რესპუბლიკური ცნობები რუსულ ენაზე, 18.45 — ო. გორდელი. მუსიკა კინოფილმებიდან, 19.00 — საუბარი „მეღარიელთა და მეცნიერთა თანამეგობრობა“, 19.15 — სკრიაბინი. საფორტეპიანო პიესები, 19.30 — უკანასკნელი ცნობები, 19.40 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. ციკლი „სკკპ ისტორია“ (მოსკოვი), 20.20 — საერთაშორისო დღიური (მოსკოვი), 20.30 — რადიოჟურნალი „მეცხიერებისა და ტექნიკის საკაყაოროში“, 21.00 — „ძილისპირული“, 21.10 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 21.45 — საერთაშორისო დღიური (მოსკოვი), 22.00 — ციკლიდან „საბჭოთა ლიტერატურის სიახლენი“; ა. ნაგიბინი „დანილიჩი“. მოთხრობა, 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — თ. შალიაპინის კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

თეატრები

14 ნოემბერი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ჯორჯე მარიანოვიჩი და ცისფერი ანსამბლი, **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ყარამან ყანთელაძე, **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — შესანიშნავი სამეული, **რუსთავის სახელმწიფო დრამატული** — მთაწმინდის მთვარე (მე-19 ამონ. მე-9 წარმოდგენა), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ნუ გიჩქარებთ სიცილი (№ 19 ამონ. დღის 5 ს.), **კონსერ